პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარება საქართველოში - საბიუჯეტო მხარდაჭერის კონტრაქტი



განხორციელების ვადა: 01.01.2019 - 31.12.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 21 250 000

პროექტის აღწერა:

ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. სტრუქტურული შემაფერხებელი ფაქტორები და დაუსრულებელი ეკონომიკური რეფორმები ქართულ ბიზნესს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ვერ აძლევს ეფექტური ოპერირებისა და ზრდის საშუალებას.

პროგრამის მიზანია გააძლიეროს ეკონომიკური განვითარება საქართველოსა და მის რეგიონებში, ბიზნესის წარმოება უფრო სწრაფი და ეფექტური გახადოს, დაეხმაროს ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში და ბაზარზე ორიენტირებული და ინოვაციური ბიზნეს მოდელების დანერგვაში.

დახმარების გაწევა ხდება საბიუჯეტო მხარდაჭერის სახით - პირდაპირი ფინანსური კონტრიბუცია ეროვნულ ხაზინაში, რაც მდგრადი რეფორმების გასატარებლად გამოიყენება. ამგვარი კონტრიბუცია დამოკიდებულია პოლიტიკის დიალოგზე, შესრულების შეფასებაზე და შესაძლებლობების გაძლიერებაზე. საბიუჯეტო მხარდაჭერა პარტნიორ ქვეყნებს ეხმარება უფრო მეტი პასუხისმგებლობა აიღონ პოლიტიკასა და რეფორმებზე.

საბიუჯეტო მხარდაჭერის კომპონენტს თან ახლავს საგრანტო კომპონენტი და სერვისების შესყიდვის კომპონენტი.

მოსალოდნელი შედეგები:

- უფრო სწრაფად და სამართლიანად მოგვარებული კომერციული დავები
- გაუმჯობესებული სადაზღვევო სისტემა
- გაუმჯობესებული პოლიტიკური ჩარჩო, რომელიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის, კლასტერებისა და ინკუბატორების განვითარებას
- სულ მცირე 5 საპილოტე რეგიონში ჩამოყალიბებული და ფუნქციური კლასტერული მიდგომა
- სამიზნე რეგიონებსა და სექტორებში ჩამოყალიბებული და ფუნქციური ბიზნეს კლასტერები.